



ნან. ი. ქოქიაშვილის


# ნ ი ა ნ ბ ი

მშობლიურ კერასთან

№ 3. თბილისი თებერვალი 1952 წ.


გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXIX. ფასი 2 მან.

— ამ პროფესორმა ერთი-ორი რამ კი იკითხა, მაგრამ სხვაფრევ  
 შესანიშნავად ერკვევა ჩვენი წარმოების უოველ დეტალში...  
 — რატომაც არ გაერკვევა. ამ თორმეტოდე წლის წინათ ჩვენი  
 საამქროს მუშა იყო!..




ნახ. ა. კანდელაკისა

საფრანგეთში ხშირად იცვლება მთავრობის კაბინეტი. რეაქციული პარტიის ერთ წარმომადგენელს ცვლის მეორე, მაგრამ ამით ფაქტიური მდგომარეობა არ იცვლება.



- აქეთ, ციცუნიავ, აქეთ!



- ჩემსკენ, ფისუნიავ, ჩემსკენ!

## ჭრეკო-ჭრეკოთი ამბები

### ბელუზის ნორმა

გასული წელი ინგლისის ოფიციალურმა სტატისტიკამ აღნიშნა, როგორც ინგლისელთა ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემა. წინა წელთან შედარებით, მოქალაქეთა გადასახადისა და სიძვირის ზრდასთან ერთად, მათი საცხოვრებელი მინიმუმი 25 პროცენტით შემცირდა.

მოქალაქეთა ეს სავალალო მდგომარეობა „გაითვალისწინა“ მხოლოდ... ჰერჩილმა, რომელმაც ამას წინათ რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში ასე ანუგეშა ინგლისელი ხალხი:

„ჩვენ, ამ მოკლე ხანში არავითარ შემსუბუქებას არ ვპირდებით მოსახლეობას... მთელი რიგი არასასიამოვნო ამბები უკვე მოხდა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია იმასთან შედარებით, რაც მოსალოდნელია შემდგომში“.

ჩერჩილმა თავისი დაპირება სულ მალე შეუსრულა ინგლისელებს. ამას წინათ საკვებ პროდუქტებზე ფასები 20-დან 70 პროცენტამდე გადიდდა, ხოლო

ბარათებით გასაცემი პროდუქტების ულუფა შემცირდა ეგრეთ წოდებულ „ბელუზის ნორმამდე“.

ეს ვერაფერი ნუგეშია საშუალო ინგლისელისათვის, მაგრამ ამით მან საბოლოოდ გაიგო, რომ „ბელუზის მდგომარეობას“ თავს ვერ დააღწევს, ვიდრე ადამიანების საარსებო ნორმებს სვავები აწესებენ.

### ყველაზე იაფი საზარბაზნე ხორცი

ამერიკელმა სიკვდილით მოვაკრებებმა კორეაში ომის გაჩაღებისთანავე ფართოდ დაიწყეს საზარბაზნე ხორცის შესყიდვა. მარშალიზებულ ქვეყნებში. ცხენის კონსერვებზე, დამპალ კვერცხის გულზე და იარაღზე გადაცვლის გზით ისინი ადვილად შოულობენ გასაყლეთად განწირულ ბრიგადებსა და პოლკებს.

ამ მხრივ უოლსტრიტს „ყველაზე იაფ საქონელს“ თურქეთი აწვდის. ამერიკული ჟურნალი „ნიუს უიკი“ ცინიკური აღფრთოვანებით აცხადებს: „1951 წლის განმავლობაში ამერიკელებმა ყველაზე

იაფად თურქეთის არმია იყიდესო“. ამ რეაქციულ ჟურნალს საზიზღარი რასისტული პარალელი გაჰყავს ამერიკელ ჯარისკაცსა და თურქ ასკერს შორის:

„ამერიკელი ჯარისკაცი, რომელსაც შთააგონებენ, რომ იგი „ბატონების რასას“ ეკუთვნის, განებივრებულია, — დაასკვნის ჟურნალი, — ის ჭამასაც მოითხოვს, ჩაცმასაც, ადამიანურ პირობებსაც და ამიტომ ძვირად ჯდება. სულ სხვაა თურქი „ოსკარი“ (ირონიულად — ჯარისკაცი): იგი შეჩვეულია შიმშილსაც, სიცივესაც და ცხოველვით ამტანიც არის. ამიტომ იგი წლიურად 4500 დოლარით იაფი ჯდება ამერიკელ ჯარისკაცთან შედარებით“.

ჟურნალი დორბლმორეული სიხარულით აჯამებს იმ დიდ მოგებას, რაც თურქეთის არმიის შესყიდვით შეუძლიათ მიიღონ ამერიკელმა ომის გამჩაღებლებმა, მაგრამ მას ავიწყლება ანდაზა: იაფფასიანი ხორცი კარგ წვესს ვერ გააკეთებსო. თუმცა ვერც ძვირმა ხორცმა გაუკეთა გემრიელი წვენი კორეაში საშოვარზე წასულ ავანტურისტებს.



# ერთი წლის შედეგები

მატარებელმა სადგურს მიაკივლა. ანტონს ცალი ფეხი ვაგონის კიბეზე ჩამოედგა და თვალბმობოქტვით გასცქეროდა ვულკანივით აკვამლებულ ქარხნის მილებს. თვით ქარხნის შენობა კი ჯერ არ ჩანდა. მძიმე და სქელი პორტფელი ანტონს ისე უხერხულად მიეხუტებინა მკერდზე, როგორც დედას უკვე მოზრდილი, ტანაყრილი, მაგრამ ჭირვეული ბიჭუნა. პორტფელში წიგნებთან ერთად 200-გვერდიანი ხელნაწერი მოთხრობა იყო—ანტონის უკანასკნელი ნაწარმოები.

ერთი წლის წინათ ანტონი სწორედ იმ ქარხანაში გახლდათ მივლინებული, რომლის მილებს ასეთი სიყვარულით გაჰყურებდა ახლა. ორი თვის განმავლობაში სწავლობდა და ეცნობოდა ქარხნის ცხოვრებას, მერე თბილისში დაბრუნდა და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ დაამთავრა საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა. ახლა კი უნდოდა მუშებისთვის წაეკითხა ეს ახალი ნაწარმოები. თუმცა ამას მისი მოთხრობის გაუმჯობესებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან რაკი დაწერდა და საბოლოოდ მოიწონებდა თავის ნაწარმოებს, მერე ერთ სიტყვასაც ვერ შეაცვლევინებდნენ. ქარხნის მუშებისაგან, ანტონი მაინცდამაინც არ მოელოდა შენიშვნებს...

მატარებელი ოდნავ გასცდა სადგურს და შეჩერდა. ანტონი პერონზე გადახტა და გაკვირვებული თვალები ირგვლივ მიმოავლო—ამ ერთ წელიწადში სად მოასწრეს ახალი სადგურის აგება?—გაიფიქრა მან და ნელი ნაბიჯებით გასასვლელისკენ გაემართა.—ოჰო?!—კვლავ გაიკვირვა მან, როდესაც სადგურის მოედანზე გავიდა,—ესეც ახალი კიბეები... უეცრად ანტონს მოაგონდა, რომ ახალი მოთხრობის მესამე თავი სადგურის აღწერით იწყებოდა. არა უშავს,—გაიფიქრა მან,—არ შეეცვლი, რა აუცილებელია კიბეების ხსენება?—სადაც გულის ხორმეში კი იგრძნო, რომ მართალი არ იყო თავის თავთან. მიაბიჯებდა ანტონი ქალაქის ახალ ქუჩაზე და თანდათანობით რაღაც შეუცნობი შემფოთება ეუფლებოდა.

ქარხნის შესასვლელს სწორედ იმ დროს მიუახლოვდა, როდესაც მოხუც დარაჯს, ტიმოთეს, ახალი ცვლა მოუვიდა. ტიმოთემ მაშინვე იცნო ანტონი, ხელი ჩამოართვა და ღიმილით მიუბრუნდა შემცვლელ დარაჯს:

—ამას გავატარებ და ჩემი ცვლაც გათავებული იყოს! ტიმოთე და ანტონი მოასფალტებულ ბილიკს დაადგნენ.

ბილიკი პირდაპირ სადნობ საამქროსკენ მიიმართებოდა. ანტონი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ყოველგვარ ცვლილებას, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში მომხდარიყო. აი, კალათბურთის ახალი მოედანი, „ექსტრა-ლაბორატორიის“ ახალი შენობა... ელექტროდების საამქროც აუგიათ, ძველად არ იყო...

—რაო, პატივცემულო ანტონ, რისთვის ჩამოხვედით?—ფიქრები დაურღვია ტიმოთემ.—ხომ არ მოგენატრეთ?

ანტონმა გაუღიმა. არაფერი უპასუხა, ისევ ფიქრებს დაუბრუნდა...

საამქროში შევიდნენ. ანტონმა რატომღაც ვერ შეიგრძნო მანვე აირების სპეციფიკური, მწვანე სუნი. შენობის შუაში დადგა და ზეწვით აიხედა: „გასაგებია, ვენტილაცია მოუწყვიათ,—დაასკვნა მან,—შევიტანო მოთხრობაში?—თავისდა უნებურად გაუელვა გონებაში და რატომღაც მოერიდა, რომ პასუხი გაეცა ამ კითხვისათვის.

—აბა, ამას თუ იცნობთ?!—მოესმა უეცრად ანტონს. მოიხედა და ტიმოთეს გვერდით № 3 ლუმელის ბრიგადირი დაინახა. როგორ არ იცნობს, ახალ მოთხრობაშიც ჰყავს გამოყვანილი...

—ბრიგადირს ჩემი სალამი!—წარმოსთქვა ანტონმა და ხელი გაუწოდა.

—ეგ ბრიგადირი აღარ არის, პატივცემულო ანტონ, ერთი თვეა, რაც საამქროს უფროსად დანიშნეს, ისეთი მეთოდი შემუშავა ლუმელის ჩქარი რემონტისათვის, რომ ახლა სტალინურ პრემიაზეა წარდგენილი.

ანტონს სახეზე აღმური აუვარდა. „მე კი მოთხრობაშიც ვერ დავაწინაურე“—გაიფიქრა მან და პორტფელს, რომელშიც მისი ახალი ნაწარმოები იდო, თითები მოუჭირა. ბოდიშო, ნაძალადევი ღიმილით უთხრა საამქროს ახალ უფროსს, დაღლილი ვარ, ხვალ გნახავთო და გასასვლელისკენ გაემუტრა. უკან მოხუცი ტიმოთე აედევნა.

—არ იტყვი, პატივცემულო ანტონ, რისთვის ჩამოხვედით? საცხოვრებლად ხომ არ გადმოდიხართ ჩვენს ქალაქში?

—არა, ბიძია ტიმოთე... მინდა მოთხრობა დაწეროთქვენი ქარხნის ცხოვრებაზე და მასალების შესასწავლად ჩამოვედი.—უპასუხა ანტონმა და თავჩაღუნული გარეთ გამოვიდა.



1. — გაღვანებისათვის... წაღვევისათვის...



### დონ-კუხანი

მეტიხველს რამდენიმე უცნაურად მოქცევა ეპანური ლეგენდის ამკადაღებულ გმირის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მოვანა და იტყვის-ბიონისა და ტირისო დე მოლანსა, პუშკინისა და მოლიერის, მერიმის და სხვა მრავალი მწერის უბადლო ნაწარმოებების შემდეგ, როგორ გახედა ეს ნეტარსხენებული გმირი ვაიკოტლებინა, უცბათ არ გაგვეკვირვოსო. მაგრამ თავიდანვე უნდა გამოვტყდეთ, რომ მეტიხველს ვაყრებივას სრულიადაც არ ვაპირებ. პირაქით, მე თვითონ ვარ გავრეგებული ერთი თბილისელი დარდინადის დონ-კუხანი საქციელით და გადავწყვიტე, რამდენადაც შევტეობ, მეტიხველსაც ვაეცნო დღევანდელისთვის ისევეაი ბორცვები.

შეიღს, რომ აიძულს იმინი დასტოვონ თავისი ოთახი და ქუჩაში გაქიდნენ. ამ ხნის განმავლობაში ქეთევან მაყალი სასამართლოდან სასამართლოში დაღის ცელიობას თავის ბავშვს კანონიერი თავშესაფარ შეუნარჩუნეს. მაგრამ ამას დღემდე კიდევ ვაძლევია. მათი მანდლ ზუნებას პატარა დასხნეთ, შოთის დარდინადი წინააღმდეგობის გზით სიარული არ უყვარს. იურებს გვერდი აუთა და ახალი აგულის სწორ მოძებნა. ცოლად შერთვის და პირდა ტერებსა მრ გაცნობილ ქალიშვილს და ქანდუყავის და ტანსაცმელს რომ თავი დაეღწეა, ახალ სატრულის ერთად კატერში გადასხადა.

შოთა გათამაშდა. გაგვეონებათ, მადა კამაში მოღისო. დონ-კუხანი სასუთარი „მოსკვირით“ დასიერინობს რუსთაველის პროსპექტზე. ორ წაქნობ გოგონისა მოკრა თვალი. მანქანაში მიიპატეცა. ცოლა ხანს ერთად ასერიდა. შემდეგ კი ერთი მათგანი სახლთან ჩამოხედა, მეორე კი... ქალაქკარზე გაიტაცა და საღამოთი, ტანსაცმელშეშვალვლი, თვალტრემლიანი დაბარუნა ქალაქი. მსხვერპლი გაღმოსეა, თვითონ კი—მიმალა.



1. — გაღვანებისათვის... წაღვევისათვის...



2. — შობრძანდით, ჩვენ გამოკლდით მუშაკი გვეტარება!

1942 წლის 17 ივლისს, სამხედრო ომის პირველ, ქარიშხლიან დღეებში, შოთა ქადაგიშვილის ოჯახს ბედნიერება ეწვია. ახალგაზრდა შოთამ სუფრის თავში დაიკავა ადილი, გვერდით პატარა ძალი მოისედა და მაყრინის „გვარალემ“ სახლს კინდამ ქერი ახადა. წლისთავზე ოჯახს გოგონა შეემატა. პატარა ბიჭი, წამყვანიცომა, ხუტუქიანი, ვიწრო-მუროვანია.

ქართულ რომანებში დაწერილობით ვერაფერს მოგახსენებთ, გარდატრისის. ცოლის მიწა არ კოფის დროს, შოთა იდგნება, სასუთარი მინაზე ვილაქ კლიან მარტო სიძეს და ლონ-უნეს საკმაო უსამიყვებია შეცა.

დაზარალებულმა იჩილა. საქმე პრიკურატურის გადაცემა, მაგრამ შოთამ მანძიკე აღმოაჩინა ყოველისშემძლე მფარველი და პრიკურატურის მიერ არ აღძრული საქმე უკუშეუკულოდ გაქრა. მაგრამ თავი და თავი დაეკვიწყდა, ტერება მ. შოთა კვლავ ტერებს სტუპარია, მაგრამ რა გულცივია, ეს შეტყებულნი ქალმა დღემდე ვერ გაიგო, მართლა ითხოვს ცოლად, თუ ის, სპორტული თვალსარჩიით ვარსიყვება.



2. — შობრძანდით, ჩვენ გამოკლდით მუშაკი გვეტარება!

მაგრამ ამბავი კონკრეტული ჯობია. შოთას ახლოს ცხოვრობდა ექიმი ქალი ტერება მ. ფრიალ ვეთილი მეზობელი. აი, ამ ტერებამ გულში შოთას მიჯნურება ჩაიდო და დღემდე აღობამ არ ეტინა. და რაი ღამეც არ ეტინა, ნამდვილად მოკრა თუ არა თვალს, როგორ დაგვიღონდნ ვილაქ მანაკციები ქადაგიშვილის ოჯახში, როცა შოთა სახლში არ იყო, ეს მის სინდისზე იყოს, მაგრამ ისე კი მოხდა, რომ შოთა ქადაგიშვილი ცოლს ოფიციალურად დაშორა. ქადაგიშვილმა ყოველგვარი გვიჭიკრობა, ყოველგვარი ხრიკი მოიგვლია მისათვის, რომ თავისი ყოფილი ცოლი და კანონიერი შვილი უზინადო დატრეებინა. მეექვსე წელი, რაც ქადაგიშვილის ოჯახი აუტრახელ პირობებს უტყნის ღედა-

— გიცნობ? მიწაზე ვინა ხარ, რომელი ცოლი? კაცს ცოლი მხოლოდ კანონიერი ქორწინებით შეიძლება რომ ჰყავდეს. ახლავე შოთარდით თვითონ შენ და შენი ღვამი, თორემ, ვეცაკობას ვფიცავ, მეომიკვდები!

ცოლი არ ეცევილა. მართალია ჯიბეში მშაჩის ქანაღლი არ ეღს მაგრამ მოწოდებ მოელ ქვეყანას ასახელებდა, ხეს, ადამიანებს, შოთისავენი შექმნილ პატარა ბიჭს.

ყინდის პატარა ბიჭი გააღნობს, რკინას—ცეცხლი, მაგრამ შოთა გულს სამიჯნური ალი თუ არ მოედო, სასუთარი პატარა ბიჭუნა, შვილი ში არ გახლდო, სასუთარი პატარა ბიჭუნა, შვილი თვის მალხაზი ბავშვკარზე გამოიყვანა, კიბეც ეცევილა, კარს დატყე და გზას გულდგა. ცოლ-შვილი თავიდან მოუღებულად ჩათვალა.

დაწერილობით ვერაფერს მოგახსენებთ, გარდატრისის. ცოლის მიწა არ კოფის დროს, შოთა იდგნება, სასუთარი მინაზე ვილაქ კლიან მარტო სიძეს და ლონ-უნეს საკმაო უსამიყვებია შეცა.

განა შესტეხს ვინა, რომ მიზეზების დიქორი, არდინად შოთას ქალიშვილებს მიაციუნოს! უსამიყვებია თქვენ ქანდუყავის ქალისა უნდა გენახოს კამარამ რომ ათავალწუნე: — გიცნობ? მიწაზე ვინა ხარ, რომელი ცოლი? კაცს ცოლი მხოლოდ კანონიერი ქორწინებით შეიძლება რომ ჰყავდეს. ახლავე შოთარდით თვითონ შენ და შენი ღვამი, თორემ, ვეცაკობას ვფიცავ, მეომიკვდები!

ცოლი არ ეცევილა. მართალია ჯიბეში მშაჩის ქანაღლი არ ეღს მაგრამ მოწოდებ მოელ ქვეყანას ასახელებდა, ხეს, ადამიანებს, შოთისავენი შექმნილ პატარა ბიჭს.

ყინდის პატარა ბიჭი გააღნობს, რკინას—ცეცხლი, მაგრამ შოთა გულს სამიჯნური ალი თუ არ მოედო, სასუთარი პატარა ბიჭუნა, შვილი ში არ გახლდო, სასუთარი პატარა ბიჭუნა, შვილი თვის მალხაზი ბავშვკარზე გამოიყვანა, კიბეც ეცევილა, კარს დატყე და გზას გულდგა. ცოლ-შვილი თავიდან მოუღებულად ჩათვალა.

მ. დონ-კუხანი

- მამა, გეოგრაფია იცი?
  - რას ჰქვია არ ვიცი!
  - მაშ აბა მითხარი, ჩემი
- სკოლა სად მდებარეობს..



ნახ. დონიხა



1. ნიკომ პირფერ-პირფერაო, ძაგუნა-სიკომ რად შეიფერაო?
2. რევიზორს ბატკანი დაუკლეს და დანაკლისს დანაკლისი დაეძაბაო.
3. ქოფერს ქონაღტურე ერქვა, თაუძდო-ძარეი კი არტელი დაბეციაო.
4. ერთი სტუძარი და ცხრა მასწინძელიო, კოლექტივის ქონებაუ, ჰა, კაგვიძელიო.
5. რევიზორთან შეჭმული ვარები კვერცხუ-ბად იანგარიძება.

შეკრიბა ვიამ

სამომხმარებლო კოოპერაციის ქარელის რაიკავშირის თავმჯდომარე ვლადიმერ კახიშვილი ერთ-ერთ მეგობართან ერთად ქეიფობიდან ბრუნდება. ორივე შეზარხოშებულია, მაგრამ კახიშვილის მეგობარი უფრო „მაღალ გრადუსში“ ჩანს და ახირებულ სიმღერას ასრულებს:

— ნეტავი რადმე მაქცია,  
ბულბულად გადამაქცია-ა-ა!

— იცი, რა ვითხრა? — აწყვეტინებს მას კახიშვილი, — რადაც გინდა გადაიქეცი, თუნდ სირაქლემად, ოლონდ რევიზორად, ან გამოძიებლად ნუ გადაიქცევი!

— ააა! ვიცი, ვიცი, გეშინიან შენს ქსელში მომხდარი ამბები არ გამოვიხრიკო, არა?

— მაინც რა ამბები უნდა გამოიხრიკო? — ეკითხება შეშინებული კახიშვილი და თვალებს იფართოებს.

— რა და, აი, თუნდაც ის, რომ ქარელის რაიკავშირს 180 ათას მანეთამდე დებიტორული დავალიანება აქვს და აქედან 100 ათასი მანეთი გაფლანგვაზე მოდის!

— რას მეუბნები, ეგ როგორ მოხდა?  
— „გულუბრყვილოდ“ მიმართავს კახიშვილი.

— როგორ და ისე, რომ შენ აპარატში რევიზორ-ბუხპალტრად მიიღე აკაკი კაკუშაძე, რომელმაც აიღო ქრთამი, რომ მელსაც 1950 წელს იძულებითი მუშაო

## შეშინებული შეკრებები

ბა ჰქონდა მისჯილი და რომელიც 1951 წელში კვლავ დაუშვი სამუშაოზე.

— მერე, მერე?

— მერე რკინა-კავეულის მალაზიის გამგე წიწუაშვილი ორჯერ იყო გასამართლებული სპეკულაციისათვის, შენ კი მას ვერ შეელიე და დღესაც ამუშავებ.

— ბიჭოს, მაგას რას მეუბნები. კიდევ?

— კიდევ მეორე წიწუაშვილი ავილოთ, რუბენ დავითის-ძე: ფასების დამახინჯებისათვის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და მითვისებისათვის პასუხისგებაში მისცეს, შენ კი — ის კურ-



სებზე გააგზავნენ.. კვალიფიკაციის ასამაღლებლად! აბა, რა კვალიფიკაცია უნდა აიმალოს, ჰა? ფასების დამახინჯებისა? გამფლანგველობისა? არა, ჩემო კარგო, ასეთი წაყრუებით და მფარველობით ვერც იმათ უშველი და ვერც საქმეს.

გინდა მეტუფეტების — ვერჩენკოსა და ნეფედოვას ამბებიც ვითხრა? გინდა? აი, დუსია ვერჩენკოს, მომხმარებლებს რომ ატყუებდა, ბოროტმოქმედება რომ დაუმტკიცდა და სასამართლოს რომ გადასცეს, შენ დღესაც ამუშავებ მეტუფეტედ.

ან ნეფედოვა ავილოთ: ის ხომ ისე დანიშნე მეტუფეტედ, რომ არ შეამოწმე, მისამართიც კი არ ჰკითხე. იმანაც ერთ კვირაში 2500 მანეთი მიითვისა და სადღაც გაქრა. კიდევ ვთქვა? კიდევ? არა, სჯობს ისე ვიმღერო!

ნეტავი რადმე მაქცია,  
გამომძიებლად მაქცია-ა-ა!

ვლადიმერ კახიშვილი პირზე ხელს აფარებს და აჩუმებს:

— მოიცა, ბიჭო, მოიცა, რახან გამომძიებლობას ნატრობ, ისეთ გამომძიებლად მაინც გადაიქეცი, რომ შენთან საქმის მოჭახრაკება გამოვიდოდეს... ე-ე-ე, რომელი სანთლით-ლა იპოვი ასეთ გამომძიებელს?

თარხი



ნახ. ი. ქოქიაშვილისა

ქაქრეთში გვაქვს  
აბანო.

**ამოსანა პირველი**

ნაფარეულის კოლ-  
მეურნეობაში რევიზია  
ჩატარდა. აღმოჩნდა,  
რომ საწყობის გამგეს  
ვ. ნოლაშვილს აკლდა:  
რამდენიმე ათეული  
ათასი მანეთის პრო-  
დუქტი და 27 ცალი  
ცხვრის ტყავი.

ამოსანა გვეკითხება:  
რამდენი მგელი შეი-  
ძლებოდა გახვეულიყო  
27 ცხვრის ტყავში,  
რომ კოლმეურნეებს  
ისინიც ვასო ნოლაშვი-  
ლივით ცხვრებად მო-  
ჩვენებოდნენ და დღე-  
საც თავისუფლად მო-  
სეირნე საწყობის გამგე  
გასაჭირიდან დაეხს-  
ნათ?

**ამოსანა მეორე**


ჩოხატაურის რა-  
იონის სოფ. გორაბე-  
რეოლის კოლმეურ-  
ნეობის თავმჯდომარემ  
ა. დევიძემ ბუნებატერ  
ბ. დოლიძის დახმარე-  
ბით გაფლანგა 47.000  
მანეთი.

ამოსანა გვეკითხება:  
რამდენთავიანი დევის  
მალა უნდა ჰქონოდა  
ა. დევიძეს, რომ 47.000  
მანეთი შეეკამა და  
ვინ უკრავდა სალა-  
მურს, რომ ამდენ ხანს  
შესძლო მან ბუნებატერ  
ბ. დოლიძის დოღზე  
ცეკვა?

**ამოსანა მესამე**

ადიგენის რაიონ-  
ის სოფ. სამხრის  
კოლმეურნეობის ფერ-  
მის გამგეს ბოჭორი-  
შვილს შემოეკამა კოლ-  
მეურნეობის 10 სული  
მსხვილფეხა პირუტყვი.  
კოლმეურნეობის გამგე-  
ობამ კი ვალის გადა-  
ხდეინების მაგიერ გა-  
საფლანგად მისცა 1333  
მანეთი.

ამოსანა გვეკითხება:  
შეძლო თუ არა ბო-  
ჭორიშვილს ეკამა ცა-  
რიელა ხორცი, თუ და-  
მატებით პურ-ღვინის  
ფულს არ მიიღებდა?



— ახ, ნეტავი-ეს ფიქები ხორბლად აქია!

**მოსახეპული გაყილველი**

(ნამდვილი ამბავი)

— ამხანაგო, თუ შეიძლება მაჩვენეთ  
ის მწვანე ფერის ჯემპერი!

— ამ წუთში, ბატონო... ინებეთ.

— რატომაა ასეთი უხეში?

— ეს, ბატონო! „გრუმო შერსტია“.

— ასეთი ქსოვილი რომ მეთორმეტე  
საუკუნეში დაემზადებინათ, უთუოდ  
ჯაგშნის მაგიერობას გაუწევდა „ვე-  
ფხის ტყაოსნის“ გმირებს.

თქვენ მართალს ბრძანებთ!.. გა-  
საგებია! საიდანაც ეს საქონელი გვაქვს  
მიღებული, იმ არტელის საწარმოო გან-  
ყოფილებაში, სატრიკოტაჟო საქმეს  
პროფესიით ფილოლოგი განაგებს და

რუსთაველის ეპოქაც კარგად უნდა  
ჰქონდეს შესწავლილი.

— თქვენ თვითონ რა ცოდნა გაქვთ,  
რომ ასე კარგად მეტყველებთ?

— მე, ბატონო?! თეატრალური ინს-  
ტიტუტი მაქვს დამთავრებული.

— ეს როგორ? მსახიობი თეატრში  
უნდა მუშაობდეს, თუ მალაზიაში?

— ნუ დაგაფიწყლებათ მოქალაქე,  
რომ ასეთი საქონლის რეალიზაციისა-  
თვის მსახიობის დიდი ოსტატობაა  
საჭირო.

სერგო აბაიშვილი

**ხვანჭკარა რომ მოჩქეულას...**

ტყიბულელ მეშახტეებს სასმელი  
წყალი საძებნელი აქვთ. მოლოტოვის  
სახელობის შახტის ტერიტორიაზე  
მცხოვრებლებს ხშირად ეხედავთ უბან-  
უბან ცარიელი ვედროებით რომ დარ-  
ბიან.

აქ წყალსადენა დაზიანებულია ოთხი  
მიზეზით: ზაფხულში გვალვების გამო,  
შემოდგომაზე—წვიმების დანაშაულით,  
ზამთარში—ყინვისა, ხოლო გაზაფხულ-  
ზე—მიღების ამოსილვის გამო. ყოველ  
შემთხვევაში, ასეთ „განმარტებებს“

იძლევა წყალსადენის უფროსი ბასი-  
ლაია.

ჩვენი აზრით კი ის აშკარა ცილს  
სწამებს სტიქიურ მოვლენებს. ნამდვილი  
მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ბა-  
სილაიაც და წყალსადენის ზეინკალი  
მიხა ბოჭორიშვილიც ღვინით იკლავენ  
წყურვალს და წყალსადენის შეკეთებაზე  
ფიქრი სულაც არ აწუხებთ.

გაგზარაით სულ სხვა მდგომარეობა  
იქნებოდა ჩვენი მიღებიდან ხვანჭკარა  
რომ გადმოჩუხჩუხებდეს.

ბ. კლატონიძე

ბ. ჩხარაძე

მოუკონ ვაჟთინება  
ქაქოლისი ქათამი

რუსთავის მეტა-  
ლურგიულ ქარხანაში  
მომუშავე კლარა მიქა-  
შაიძემ ამას წინათ  
ზესტაფონიდან გამო-  
გზავნა ხელბარგი. ჩე-  
მოდანში იყო ტიკით  
ღვინო და... დაკლული  
ქათამი.

რუსთავში მიაკითხა  
საბარგო სადგურს.  
მესამე დღეს, რო-  
გორც იყო, მისცეს  
ჩემოდანი, რომელიც  
პატრონს ხელში მსუ-  
ბუქად ეჩვენა. შინ რომ  
მიიტანა, გახსნა, მაგ-  
რამ რას გახსნი? დე-  
დალი ჩემოდანში აღარ  
აღმოჩნდა. ამდგარა ეს  
ონავარი ქათამი, დაუ-  
ღვეია ტიკიდან ოთხი  
ლიტრი ღვინო და გა-  
ფრენილა ჩემოდნიდან.

ზესტაფონში, რო-  
გორც მევენახეობის  
რაიონში, შეიძლება  
ღვინის მსმელი ქათმე-  
ბიც იზრდებიან, მაგ-  
რამ როგორ სწავლო-  
ბენ ისინი ფრენას და-  
კვლის შემდეგ — რუს-  
თავში?

რედაქტორი ქ ა რ ლ ო ქ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,  
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нявга“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1952 წ. 6/II. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 270. გამოც. № 3. ტირ. 15.000. უგ 00688.



— ამაზე ამბობენ ამერიკელები, იაკონიაში თავისუფლებისათვის ვიბრძვითო?!  
— რამ გავაკვირვა, ჩემო კარგო, ამერიკელები ყველგან თავის უფლებებისათვის  
ვიბრძვიან...

